გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 94

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

ფიზიკური პირისთვის, ნანა ტლაშაძესთვის (პ/ნ 59001011822) აღნაგობის უფლების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2022 წლის 6 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. ნანა ტლაშაძეს პ/ნ 59001011822 შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება N4, რომლის საგანს წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში მდებარე 3885.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.46.21.014.616.

ფ.პ. ნანა ტლაშაძემ (პ/ნ 59001011822) 2023 წლის 28 მარტის N19/2023087276-20 განცხადების საფუძველზე მოითხოვა მუნიციპალიტეტის თანხმობა, გაასხვისოს მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება ფ.პ. არჩილ ხმიადაშვილზე (პ/ნ 59001031794). ხოლო, ფ.პ. არჩილ ხმიადაშვილმა (პ/ნ 59001031794) 2023 წლის 28 მარტის N19/19/2023087278-20 განცხადებით, გამოთქვა სურვილი ფ.პ. ნანა ტლაშაძისგან მიიღოს აღნაგობის უფლება, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ყველა ნაკისრი ვალდებულებებით.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ე მუხლის მიხედვით თუ მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის უფლების გასასხვისებლად ან გასაქირავებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ამ თანხმობის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, ვინაიდან მითითებული ხელშეკრულებით სავალდებულოა მესაკუთრის თანხმობა აღნაგობის უფლების გასასხვისებლად და აღნიშნულ თანხმობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი არ არსებობს. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ ფ.პ. ნანა ტლაშაძეს (პ/ნ 59001011822) მისცეს თანხმობა, გაასხვისოს 2022 წლის 6 დეკემბრის N4 სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით მინიჭებული აღნაგობის უფლება ფ.პ. არჩილ ხმიადაშვილზე (პ/ნ 59001031794), ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ემუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ფ.პ. ნანა ტლაშაძეს (პ/ნ 59001011822) მისცეს თანხმობა აღნაგობის უფლების (საგანი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში მდებარე 3885.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.46.21.014.616) ფ.პ. არჩილ ხმიადაშვილზე (პ/ნ 59001031794) გასხვისებაზე, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე